

SOS ბავშვთა სოფლის კონცეფციის პრაქტიკული შეფასება

ფოტოგოვისის მეთოდის გამოყენებით

მარიამ ფილაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი MSW;PhD



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს SOS ბავშვთა სოფლის კონცეფციის პრაქტიკულ შეფასებას, ფოტოვოისის მეთოდის გამოყენებით. ასევე კვლევის მიზანია SOS ბავშვთა სოფლის მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრები ბავშვების უკეთ გაცნობა, მათ მიერ დანახული ცხოვრების „მნიშვნელოვანი მხარეების“ ასახვა და მათი ყოველდღიური სამყაროს დადებითი და უარყოფითი ასპექტების უკეთ შეცნობა. კვლევისას გამოვიყენეთ Photovoice-ის მეთოდი, ასევე ნახევრად სტრუქტურირებული პირისპირი ინტერვიუ, კვლევა მოიცავდა მონაწილეთა ბედნიერებისა და საკუთარ თავში დარწმუნების დონის განსაზღვრას, რისთვისაც გამოყენებული იყო შესაბამისი საკვლევი შკალები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ასპექტები:

- ბავშვების მიჯაჭვულობა sos ბავშვთა სოფლის მიმართ და კომფორტული გარემო ბავშვებისათვის.
- ბავშვების ურთიერთობები პერსონალთან, მათ მიმართ ემოციური დამოკიდებულება.
- მეგობარი, როგორც მათი ცხოვრების უშუალო შემადგენელი ნაწილი.
- ოჯახთან გაწყვეტილი ემოციური კავშირები, გამომდინარე ურთიერთობის დეფიციტიდან.
- სკოლის და სწავლის მნიშვნელობა, ადგილი მათ ცხოვრებაში.
- კონკრეტული მომავლის იმედები დაკავშირებული კარიერულ წინსვლასთან.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს ბავშვების ინტერესების დანახვა და დღევანდელი მდგომარეობის, ვითარების უკეთ გაანალიზება, თუ რა

სირთულეების წინაშე ვდგევართ ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში. კვლევა მნიშვნელოვანი და აქტუალური იქნება იმ ადამიანებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში არსებული პრობლემების შესწავლით.

Abstract

The present work includes the practical assessment of the SOS Children's Village concept, using Photovoice Method. The research also aims to introduce the children who live in SOS Children's Village small family type home, reflect the "important parties" of life they have seen and better understand the positive and negative aspects of their everyday world. For research we used the Photovoice method, also semi-structured private interview, the research included the determination of participants happiness and their level of confidence, for which the appropriate research scales were used.

As a result of the research, the following aspects were identified:

- Children's affection for the SOS Children's Village and comfortable environment for children.
- Children's relationship with the staff, the emotional attitude towards them.
- A friend, as an immediate part of their life.
- Emotional ties with the family are broken, due to the lack of communication.
- The importance of school and learning, their place in their lives.
- Specific future expectations related to career advancement.

The results of the research are important to see the interests of children and to analyze the current situation, and for a better understanding of the difficulties in the Child Welfare System. The research will be important and topical to people who are interested in studying the problems of the Child Welfare System.